| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გ. ცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებლად იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


კვირას, 24 თებერვალს, „ტფილისის კლუბის" დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

**ბ ა ლ ი**

ბილეთის ფასი—2 მან.; დასაწყისი—საღამოს 9 საათზე.

ბილეთები ისყიდება კნ. ელენე მიხ. ანდრონიკაშვილისას და ტფილისის კლუბში.

(7—4)



ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა აცნობებს თავის წევრთ, რომ ამა 1891 წ., მარტის 24, დილის 10 საათზედ, ფოთის თვით-მმართველობის სადგომში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება.

1) რომელმაც უნდა გასინჯოს და დაამტკიცოს წარსულის 1890 წლის ანგარიში.

2) ამოირჩიოს სამის წლით მმართველობის თავმჯდომარე და დირექტორი ეხლანდელის თავმჯდომარისა და დირექტორის მაგიერ, რადგან ამათ უკვე შეასრულეს თავიანთი ვადა სამსახურისა.

3) ამოირჩიოს სამი დეპუტატი საბჭოსი დღევანდელების მაგიერ, რომელთაც შეასრულეს აგრეთვე ვადა სამსახურისა.

4) ამოირჩიოს სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და კანდიდატი მათი.

და 5) დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა 1891 წლისათვის.

მმართველობა საზოგადოებისა სთხოვს წევრთ, რომელთაც ნაზრუნი აქვთ ვექილობის ქაღალდი, რათა ხმა ჰქონდეთ კრებაზედ, საზოგადოების წესდების მე 36 § სხოლიოს თანახმად, წარმოადგინონ ის ქაღალდიბი სამის დღით ადრე, ვიდრე კრება [illegible] ბოდეს, ესე იგი, მარტის 21-მდე.

(3—1)


## ახალი ამბავი

*** ფინანსთა მინისტრის მოხსენებით უმაღლესი ბრძანება გამოვიდა იმის შესახებ, რომ იმ ვალების გარდახდა, რომელიც ქალაქის მამულებს აქვს პრიკაზისა, იმავე წესითა და რიგით იქმნას წარმოებული, როგორიც საზოგადოდ მიღებულია პრიკაზში ყველა დაგირავებულ მამულის შესახებ. მაშასადამე, თუ მამული ვალს ვერ აუვა და დროზედ შესატან ფულს ვერ წარადგენს მისი მოურავი, პრიკაზი ამისთანა მამულს საიაჰროდ დაჰნიშნავს.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ეს უმაღლესი ბრძანება წარსულ ქრისტეშობისთვეში გამოცხადებულია. ჩვენ ეგ ბრძანება Журн. Минист. Финанс.-ში ამოვიკითხეთ და სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ მოჰსვლია ამის შესახებ ცნობა, მაშინ როდესაც პრიკაზის საქმეები, როგორც ვიცით, ამ სახელმწიფო ბანკის გამგეობას გადაეცა.

*** უფროსი აგენტი ქალაქის დასაფასებელ გარდასახადის ბიუროსი პ. ვოსკრესენსკი ამას წინად ორის თვის ვადით დაეთხოვა ქალაქის გამგეობას. აი როგორ გამოუყენებია პ. ვოსკრესენსკის ეს ორი თვე: თავის ხარჯით მოუვლია შიდა-რუსეთის ქალაქები და შეუსწავლია მათის შემოსავლის მდგომარეობა. დაუვლია ყველა დიდი ქალაქი: პეტერბურგი, მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი და სხვ. და ბევრი ცნობანი შეუკრებია. პ. ვოსკრესენსკის სიტყვით, ჩვენი ქალაქი, ამ ქალაქებთან შედარებით, უფრო ღარიბია, მაგრამ გარდასახადს ერთი-ხუთად მეტს იღებს მცხოვრებსენსკის შეუსწავლია თვით საქმის წარმოებაც კანცელარიებში და აღმოუჩენია, რომ ბევრში ჩვენის ქალაქის გამგეობის წესები უკეთესია და ზოგში შიდა-რუსეთის ქალაქებისა. მაგ. დასაფასებელისა, სახელმწიფოსა და საერო გარდასახადებისათვის ვოსკრესენსკის მიერ ნახულ ქალაქებში თითო-თითო დავთარი აქვთ, რომელიც ჰყოფნით ათ წლამდე, ჩვენში-კი ამ სამ გვარ გადასახადისათვის,—ჯერ ერთი რომ სამი განყოფილებაა გამგეობაში და ცალკე კაცები ჰყავს მიჩენილი; მეორეც ის, რომ ამის მიხედვით ცალკე დავთრებიცაა, რომელთაც ყოველ წლივ სცვლიან.

*** ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის მთავრობამ განიზრახა გამართოს მომავალს მაისში შინაური ლატარია შიგ სასწავლებელში და შემოსავალი ღარიბს მოსწავლეებს მოახმაროს. ლატარიაში ჩავარდება თვით მოსწავლეთა მიერ მოქსოვილ-შეკერილი ნივთები და აგრეთვე გარეშეთაგანიც შეწირულები.

*** ქალაქის თავს მატინოვს დაუთხოვნია სამსახურისაგან ბაზრის ზედამხედველი იოსებ ხეროდინოვი იმიტომ-რომ სანიტარის ექიმმა ბ-ნმა ვართანოვმა საჩივარი შეიტანა ხეროდინოვზედ,—მეურჩება და ჩემს „ბრძანებას არ ასრულებსო.

ი. ხეროდინოვს ამ დღეებში საბჭოს სახელობაზედ საჩივარი შეუტანია ქალაქის თავის ა. მატინოვის განკარგულების გამო. მე დათხოვნის შესახებ არას ვამბობ, რადგან ამის უფლება აქვს როგორც ქალაქის თავს, აგრეთვე გამგეობასაც, მაგრამ დათხოვნილმა ისიც უნდა იცოდეს, თუ რისთვის ითხოვენ, რა დანაშაულობისათვისაო. ისე დამითხოვესო, ამბობს ი. ხეროდინოვი თავის საჩივარში, რომ მიზეზიც არ უთქვამთ ჩამოიასო. შეტანილს ქაღალდიდგან, იმას თითქმის ხუთი წელიწადი უმსახურნია და ამ ხნის განმავლობაში ცუდი არაფერი შეუნიშნავთ-რა. ი. ხეროდინოვი სამსახურის გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი ყოფილა, სამხედრო სამსახურში 35 წელიწადი უმსახურნია და იქიდგანაც ცუდი სახელი არ გამოჰყოლია. ამას წინადაც ერთი ზედამხედველთაგანი, ი. ტერ-გრიქორიანცი, დაითხოვეს სამსახურიდგან, რადგან ზოგიერთი ბოროტ-მოქმედება შენიშნეს, და ი. ხეროდინოვი ეხლა იმასა სჩივის, რომ მეც ცუდი სახელი გამივარდება და ეს სიკეთე მიყავით, დანიშნეთ ორი კაცი, რომ ჩემის დათხოვნის საქმე გამოირკვიონ და ყოველივე ბრალი ამყარონო.

*** გუშინ-წინ, 19 ამ თვისას, ქართულს თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი ბ-ნ გედევანოვისა. წარმოადგინეს ორი პიესა—„ყვარყვარე ათაბაგი" გ. ერისთავისა და „მიტო ანციშვილი", ფრანგულიდგან გადმოკეთებული ვოდევილი. მოთამაშეებს თითქმის ყველას შეესწავლა და კარგად შეეგნო თავისი როლი. ის არეულ-დარეულობა, რომელიც წინანდელ წარმოდგენებზე იყო ხოლმე ქართულს თეატრში, გუშინ-წინ საღამოს წარმოდგენას აღარ ეტყობოდა. განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავისი როლები ქ-ნმა ავალიშვილისამ, საფაროვ-აბაშიძისამ, მობენეფისემ, ბ-ნმა კანდელაკმა და გუნიამ. ქ-ნ ავალიშვილის თამაშობამ ბევრს მაყურებელთაგანს ცრემლები მოჰგვარა. ერთის სიტყვით წარმოდგენა რიგიანი იყო, მაგრამ საზოგადოება, წინანდელის წარმოდგენებით დაშინებული, ძლიერ ნაკლებად დაესწრო. მოთამაშენი ტაშის-კვრითა და ბრავოს ძახილით მრავალჯერ გამოიწვიეს სცენაზე. [illegible]

*** 17 თებერვალს, არსენალის ქუჩაზედ, ავლაბარში, მეშვიდე ნაწილში გარდაიცვალა ერთი ას-ოცი წლის მოხუცებული კაცი გვარად და სახელად სარქის მელიქოვი. ეს მოხუცებული მოსწრებია აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ტფილისში და კიდევაც დაუჭრიათ იმ დროს. სუყველაფერი დაწვრილებით და დალაგებით იცოდა თურმე ამ შემთხვევის შესახებ. მთელ თავის სიცოცხლეში სამჯერ ყოფილა ჯვარ-დაწერილი. სულ უკანასკნელ ცოლიდამ დარჩენია ეხლა ერთი ორმოცი წლის შვილის-შვილი. უკანასკნელ დრომდე საკმაოდ ჯან-საღად

## ფელეტონი

### ახალ-წლის წინა დღეს

(თარგმანი)

ამ რამდენისამე წლის წინადა—დაიწყო თავისი მოთხრობა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა—მე გარდავწყვიტე ახალი წელიწადი მოსკოვში გამეტარებინა. რადგან გამოვედი შობის მეოთხე დღეს და ქალაქ ორ—მდე მშვიდობიანად ვიმოგზაურე, ხოლო რადგან იმას იქით გზები ამონავქრული იყო თოვლით, იძულებული შევიქმენ ორს დღეს ამ ქალაქში დავრჩენილიყავი. ამ გარემოებას არც ძალიან შევუწუხებივარ, რადგან მგზავრობას შეჩვეული ვიყავი. მხოლოდ ის არ იყო სასიამოვნო, რომ ახალ-წლის წინა დღე ვაგონში უნდა გამეტარებინა. ორის დღის შემდეგ ჩავჯექ მატარებელში, რომელიც მიდიოდა მოსკოვს.

საღამოს ცხრა საათი იყო. პირველის კლასის ვაგონში დავიჭირე ადგილი, საწოლი მოვიმზადე და ველოდდი მატარებლის დაძვრას, რომ დავწოლილიყავ დასაძინებლად. მეორეჯელ ზარი დაირეკა თუ არა, დავიარე ჩემი ვაგონი. ეს ჩემი დროებითი სადგომი სრულიად ცარიელი იყო; ეტყობოდა, არავის სურდა ახალწლის წინა დღე გზაში გაეტარებინა. დავბრუნდი ჩემს ადგილზედ და მესამედ ზარის დარეკის შემდეგ დასაძინებლად მივდე თავი.

უეცრად გაიღო კარები და ვიღაც ფაცი-ფუცით შემოვიდა ვაგონში. „უთუოდ კონდუქტორია-მეთქი", ვიფიქრე და მოვამზადე ჩემი ბილეთი, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და არავის მოუკითხივარ. ვიფიქრე, ენახავ ერთი ვინ იყო-მეთქი, და გამოვედი ჩემის ბინიდგან. რამდენსამე ფეხის გადადგმა ვერ მოვასწარი, რომ კივილი შემომესმა. ჩემის ვაგონის მეორე განყოფილებაში ყმაწვილი ქალი იდგა და შეშინებული შემომყურებდა. მივხვდი, რომ ჩემი შეშინებოდა და ბოდიში მოვითხოვე.

— არაფერიო, მიპასუხა იმან სუსტად და უცნაურის ღიმილით: არ მეგონა, თუ აქ იქნებოდა ვინმე, დაუმატა მან.

— ჩემს მეტი აქ არავინ არის—ვუპასუხე და თანაც მიხაროდა, რომ ვიშოვნე თანამგზავრი-მეთქი.—თუ გსურთ, გადმოდით ჩემთან: იქ თქვენთვის უფრო უმჯობესი იქნება.

უცნობი ჯერ ყოყმანობდა, ბოლოს დამთანხმდა, შემოვიდა ჩემს ოთახში, დიდის სიფრთხილით შემოიკეტა კარი და დაჯდა ჩემს პირდაპირ. მე საჩქაროდ თვალი გადავავლე უცნობს. იგი ყმაწვილი ქალი იყო, ასე ოცდა ხუთის წლისა, ლამაზი, შავგვრემანი, ფერ-მკრთალის სახითა და შავის, ელვარე თვალებით. უცნობს ლურჯის ხავერდის ტალმა ესხა, სამურის საყელოთი. თავზედ ეხვია თეთრის შალის თავ-მოსახვევი, რომლიდგანაც შავი გაწეწილი თმა უჩანდა. საერთოდ-კი რაღაც უცნაური და არეულ შეხედულობა ჰქონდა. მე უფრო იმან გამაკვირვა, რომ როდესაც გადაიწია ტალმის კალთები, თეთრი იუბკა გამოუჩნდა. ვიფიქრე: იმდენად გართული ყოფილა ჩამოსვლის დროს, რომ დავიწყებია კაბის ჩაცმა მეთქი. ხავერდის ტალმის ქვეშ მომცრო საკვოიაჟი ეჭირა. შევნიშნე, რომ უცნობი უხერხულად იჯდა, დავუცალე ადგილი და ვთხოვე დაედო საკვოიაჟი. ჯერ როგორღაც ეჭვის თვალით შემომხედა, მერე ფრთხილად გამოიღო ტალმის ქვეშიდგან საკვოიაჟი და გვერდზედ დაიდო. ტალმა როცა გიდაიხადა, დავინახე, რომ არც კაბის ზედა-ტანი ეცვა და ღამის ჯუბაში იყო. ხელ-ახლად დავუწყე უცნობს დათვალიერება... უეცრად მკითხა:

— სად მიდიხართ ეხლა?

— როგორ თუ სად?.. რასაკვირველია, მოსკოვში... თქვენ სადღა მიემგზავრებით?

— მე... შორს, შორს! სთქვა უცნობმა ნაღვლიანის ხმით და ამ უცნაურმა ხმამ მაშინვე მიმახვედრა, რომ მსხვერპლი თუა დედ-მამის და ან ქმრის უჯათობისა და ძალ-დატანებისა, და იმათ გამოჰქცევია-მეთქი.

— პეტერბურგში თუ მიდიხართ-მეთქი? დავეკითხე.

— არა, კიდევ უფრო შორსო, მიპასუხა მან.

— მაშ სად აპირებთ წასვლას? ვკითხე გაკვირვებით.

— არ ვიცი, ღმერთმანი, მაგრამ უნდა წავიდე-კი სადმე, ისეთს ადგილას, რომ ვერავინ მიპოვნოს.

— განა დაგეძებენ?

— დიახ, დამეძებენ-კი, მაგრამ ვერ მიპოვნიან!

ამ სიტყვებთან უცნობმა რაღაც უცნაურად გაიღიმა და ლამაზი სახე უეცრად შეეცვალა და გაუდუხჭირდა.

— რად გდევნიან, რას გემართლებიან ისინი-მეთქი, ვკითხე, და მივხვდი. რომ „ისინი" ან ნათესავები, ან მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ ამ უცნობისა.

— იმიტომ რომ ბოროტები არიან, ჩემი მტრები!

ვხედავდი, რომ ჩემს საწყალს თა-

ყოფილა და არც მხედველობა ჰქონია შესამჩნევად მოკლებული.

*** სანამ ქალაქის გამგეობა საბჭოს მოახსენებდეს პატიმრად მყოფის მღვდლის სარქის ორბელიანცის სათხოვარს ამის მიერ მოგონილის წყალში დახრჩობისაგან გადასარჩენის იარაღის შესახებ, მანამ გამგეობას უთხოვნია „წყალში დარჩრობისაგან დამხსნელ საზოგადოების“ თავმჯდომარის ბ-ნ ოტტო სიმონსონისათვის, გამოსცადეთ ორბელიანცის იარაღი და გვაცნობეთ თქვენი აზრი მის შესახებ, რომ მოვახსენოთ საბჭოსაო.

*** სოფ. კონდოლი (თელავის მაზრა): აგერ 15 წელიწადია თითქმის, რაც ჩვენს სოფელში პირველ-დასაწყისი სკოლა არსებობს. ამ ხანის განმავლობაში, ცხადია, ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა და, იქნება, ბევრს შეუყვარდა კიდეც კარგისა და სასარგებლო წიგნების კითხვა, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ, თუნდა ბევრსაცა ჰქონდეს კითხვის სურვილი, სად უნდა იშოვოს სვკითხავი წიგნები. აი ამისათვის დიდად საჭიროა, რომ ჩვენს სოფელში დაარსდეს წიგნთ-საკითხავი, საიდამაც ყველა მსურველს შეეძლოს წიგნის წაღება და კითხვა. ამისთანა წიგნთ-საკითხავის გამართვა დიდს ხარჯს არ მოითხოვს და ადვილად შესასრულებელი საქმეც არის. ჩვენი სოფელი საკმაოდ დიდი სოფელია. 450-მდე კომლი გლეხ-კაცობაა მარტო, თავად-აზნაურთ გარდა. ამოდენა სოფლისთვის, რომელშიაც კარგა ბლომად არიან წერა-კითხვის მცოდ-[illegible] იქნება. მით უმეტეს, რომ სასოფლო სკოლა ყოველ-წლივ ამრავლებს რიცხვს წერა-კითხვის მცოდნეებისას, რომელთაც, თუ გვინდა რომ სკოლაში რაც ისწავლეს, ისევ არ დაავიწყდეთ, უსათუოდ წიგნებიც უნდა მივაწოდოთ. დიდად სასურველია, რომ ჩვენის სოფლის თავად-აზნაურთ და აგრეთვე სოფლის მასწავლებელმა ითაონ ეს სამადლობელი საქმე.

*** სიღნაღი: ჩვენი სამაზრო ადმინისტრაცია ეხლა იმის ფიქრშია, რომ გაზაფხულზე კალიას გაემკლაოს როგორმე. მაზრის უფროსს განზრახვა აქვს, კრება გაჰმართოს და ამ კრებაზე მოიწვიოს სოფლებიდამაც-კი ყველანი, ვისაც ან რჩევით, ან სხვაფრივ შეუძლიან ამ საქმეში შემწეობა აღმოუჩინოს მაზრას.

სიღნაღელები ელიან აგერ კარგა ხანია თავიანთ ახალ დეპუტატების დამტკიცებას, მაგრამ ჯერჯერობით ეს საქმე როგორღაც იგვიანებს. სიღნაღზეა მიწერილი სოფლები: ნუკრიანი, ჰოტორი და მალაროს ნახევარი. ამ სოფლების მკვიდრნი ცოტა არ იყოს, სჩივიან, რომ ხარჯი ისეთივე გვაწევს, როგორც სიღნაღელებს და ჩვენთვის-კი არც გზებია, არც ფარნები, არც ხიდ ბოგირებიო.

*** დ. ლანჩხუთი: ამას წინად „ივერიაში“ იყო მოხსენებული, რომ ლანჩხუთში ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა გაჰმართესო, მაგრამ ამ სკოლის რიგიანად ფეხზედ დაყენებისათვის ნივთიერი დახმარებაა საჭიროვო. აი ახლა ამ კეთილ საქმეში დამხმარებელიც აღმოგვიჩნდა. ამ თვის 16 გვესტუმრა თავ. ვახ. გურიელი, შეჰკრიბა აქაურნი მკვიდრნი და, პოლიციის ბოქაულის თანადასწრებით, მიჰმართა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე, სიტყვით შესახებ სწავლა-განათლების მნიშვნელობისა და სთხოვა შემწეობა აღმოეჩინათ ახლად დაარსებულ სკოლისათვის. თავის მხრით-კი თავ. გურიელმა შესწირა სახლი, ღირებული არა ნაკლებ რვა ასის მანეთისა; მკვიდრთაც აღუთქვეს დახმარება. გაიმართა ხელ-მოსაწერი სია შემწირველთა. თავ. ვ. გურიელმა ამასთანავე ისიც გვითხრა, რომ მისი ყოვ-[illegible] და ლანჩხუთში იმ სახელმწიფო ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის გამართვას, რომელიც წილად ხვდა გურიასაო. მაშინვე თავ. ვ. გურიელს სთხოვეს, იშუამდგომლოს ამის შესახებ მის მეუფების წინაშე და იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენი თხოვნა არ დარჩება უყურადღებოდ, მით უფრო, რომ სკოლისთვის შენობას ჩვენვე ვაკეთებთ.

*** გაზეთი „Новое Обозрѣніе“ ამბობს, რომ გარდაცვალებულ სოხუმის ეფისკოპოზ ალექსანდრეს მაგივრად ჰნიშნავენ ალავერდის ეპისკოპოზს ბესარიონსაო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ მოქანდაკე ფ. ი. ხოდაროვიჩი ამ ქამად აკეთებს ქანდაკს გარდაცვალებულ თავად დ. გ. ერისთავისასაო.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრებულმა, რომელსაც, უმაღლესის ბრძანებით, მინდობილი აქვს სამეგრელოს თავად-აზნაურთა წოდებრივის უფლების საქმის განხილვა და გადაწყვეტა, როგორც უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, უკვე გამოაცხადა, რომ უმართებულესის სენატის ჰეროლდიისა დეპარტამენტის ბრძანებისამებრ, ვიწყებთ ზემო აღნიშნულის საქმის განხილვასა და წარმოებასაო და ვიწვევთ ყველა იმათ, ვინც თავიანთს შთამომავლობის ღირსების დამტკიცებას ეძიებს, წარმოადგინონ ამ საძიებელის დამამტკიცებელი საბუთებიო. მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს საქმე სამეგრელოს თავად-აზნაურებმა პირველადვე ვერ წაიყვანეს, როგორც საჭირო იყო, და ამის გამოც მოუნდა ამდენი დრო და ჟამი ამისს ასე თუ ისე დაბოლოებას და გადაწყვეტას. დღეს-კი ეს გაჭიანურებული საქმე მიმდგარია იმ კიდეზედ, რომ ასე თუ ისე უთუოდ უნდა გავიდეს ფონს, და მიეცეს დასასრული მის მსვლელობას. თუ ჩვენი თავად-აზნაურობა აქამდის ვერ იჩენდა ამ საქმეში საჭირო ზრუნვასა და საქმიანობის უნარს, ეხლა მაინც უნდა და-[illegible] თი წოდებრივი უფლება სამუდამოდ არ დაეკარგოთ. სამგრელოს დანარჩენ თავად-აზნაურთა შესახებ ვერას ვიტყვით, ხოლო ლეჩხუმის თავად-აზნაურთა შესახებ-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ისევ ძველებურს უზრუნველობასა მისცემიან. ათი თთვე სრულდება მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭოს აზრი ზემოხსენებულის საგნის თაობაზე უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, და ჩვენს თავად-აზნაურობას ჯერ ყურიც არ გაუბერტყია და არ შესდგომია საქმეს: ეს საქმე ისე მსუბუქი და ადვილი არ არის, რომ ერთის შეტევით შეიძლებოდეს გათავება, არამედ მეტად მძიმე და რთულია. ამის გამო დაყოვნება ზარალის მეტს არას მოგვიტანს. მართალია ჩვენში ბევრსა აქვს უმაღლესს ბრძანებაში აღნიშნული პირდაპირი საბუთები: წყალობის სიგელები იმერეთის მეფეთა და სამეგრელოს მეღობელთა მიერ ბოძებული, რომელშიაც წყალობა-მინიჭებული აღიარებულია თავადად, და ნაბოძები აქვს აზნაური, ანუ სააზნაურო ადგილ-მამული, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ მარტო ეგ არ კმარა ჩვენთვისა და აი რა მიზეზით: ვსთქვათ, რომელსამე თავადობის ღირსების მეძიებელის პაპას აქვს ბოძებული სამეგრელოს მთავრისაგან ყმა და მამულის სიგელი, რომელშიაც დასაჩუქრებული მოხსენებულია თავადად. აქ აუცილებლად საჭიროა, რომ მეძიებელმა საბუთებით დაამტკიცოს, რომ მე თავადად ცნობილის შთამომავალი ვარო. აი ყველაზედ უფრო, ამის დამტკიცება არის ძნელი, რადგან იმ დროინდელთ-კი არა, ბევრს ეხლაც არა აქვს დაბადების მოწმობა, და წინა დროის კაცებს ხომ სრულიად არაეის ჰქონია. მართალია, უმაღლესს ბრძანებაში არც ეს გარემოება არის უყურადღებოდ დატოვებული: მეძიებელს უფლება აქვს მინიჭებული მოწმეთა ჩვენებით დაამტკიცოს თავის მემკვიდრეობა თავადად ცნობილის წინა პირისაგან; ამ მოწმეების შოვნაც არ დაუჯდება იაფად თითოეულს ჩვენს თავად-აზნაურს, მაგრამ რაც უნდა იაფად ჩავსთვალოთ, მაინც უეჭველად დიდი დრო, შრომა და ხარჯი საჭირდება ამ საქმეს. ამისათვის, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამ თავითვე მი-[illegible] ყოს საქმე და წარადგინოს, რაც რამ საბუთი მოეპოვებათ; ხოლო დეპუტატთა კრებული, თუ რამეს დაინახავს კიდევ საჭიროდ დასამატებელს საბუთს, შეუდგნენ მის მოპოვებასაც. ამ შემთხვევაში მოვალენი არიან მაზრის წინამძღოლნი უწინამძღოლონ თავიანთ საწინამძღოლო თავად-აზნაურთ და აწარმოებინონ ეს საქმე. უმაღლესის ბრძანების ტექსტი, რომელიც იყო დაბეჭდილი ოფიციალურს გაზეთს „Кавказъ-ში“ და იქიდამ გადმოთარგმნილი „ივერია“-ში, ჩვენში ბევრს არც-კი წაუკითხავს, რადგანაც ჩვენში, სამწუხაროდ, გაზეთებს ასში ერთიც ძლივს ჰკითხულობს. ამის გამო ჩვენის მაზრის წინამძღოლი თავ. ახვლედიანი მოვალეა, გააცნოს თითოეული მუხლი უმაღლესის ბრძანებისა თავად-აზნაურთა, რომ იმათაც შეეძლოთ, თანხმად უმაღლესის ბრძანებისა, დაწყება და წარმოება საქმისა.

ქაიხოსრო გელოვანი

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნ. „Русская Мысль“-ის იანვრის წიგნში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო „მოულოდნელი წერილები ვ. გ. ბელინსკისა, მიწერილი ა. ი. გერცენთან“. ამ წერილებით აშკარადა სჩანს, რა გაჭირებაში ყოფილა ჩავარდნილი ეს რუსეთის შესანიშნავი და დიდად ნიჭიერი კრიტიკოსი და ამ თავისის ჟურნალის სულის ჩამდგმელს კაცსაც-კი რა უდიერად ექცეოდა მაშინდელი რედაქტორი „Отечественныя Записки“-სა კრაევსკი, რომელსაც ჟურნალი დუქნად გაეხადნა და მოგების თვალით უცქეროდა, მერე იმ დროს, როცა განსვენებულ ბელინსკის უკვე სახელი გავარდნილი ჰქონდა საზოგადოებაში, ყველანი კითხულობდნენ იმის ნაწერებს, აღტაცებაში მოდიოდნენ და იმისი სახელი ამშვენებდა ჟურნალს. ამას გარდა, ბელინსკის წერილები ნათლად ამტკიცებს, რა ძნელია სავალდებულოდ დღე-ყოველ თუ თთვე-ყოველ წერა რისამე. აი, მაგალითებრ, რასა სწერს ბელინსკი გერცენს 1846 წ. 2 იანვარს:

მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი თავი დავაღწიო „О. З.“-ის და იმის უსინდისო და კეთილშობილს პატრონს. ეს აზრი დიდი ხანია მიტრიალებს თავში, მაგრამ იმედი მქონდა სასწაულებრივ როგორმე აღსრულებისა. [illegible] კიდეც დავრწმუნდი, რომ ღმერთის მიერ მოცემული იმედი გვრავური იმედია და სხვა რამ ღონეს უნდა მივმართო, უფრო ჩვეულებრივსა, უფრო ძნელს, მაგრამ უფრო საიმედოს. მაგრამ ჯერ მიზეზი გახსენოთ და მერე საშუალება. ჟურნალის სავალდებულო საქმე ფილტვებისავით სისხლსა და ძალ-ღონესა გწოვს. ჩვეულებრივ თთვეში ორს კვირას თავგადადებით კმუშაობ, ისე გულ-მოდგინედ, რომ თითები მიბუჟდება და

---

ნამგზავრს რაღაც საიდუმლო ჰქონდა; მინდოდა გამეგო ეს საიდუმლო, მაგრამ თან რიდასისაც მეშინოდა. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ადამიანის გულში არის ისეთი სიმი, რომლის შეხებასაც შეუხებლობა სჯობიან. ამას გარდა ჩვენ მარტო ორნი ვიყავით ვაგონში და ვერ გამებედნა. როგორც ეტყობადა, უცნობი თითონაც მოხარული იყო გაეზიარებინა ჩემთვის თავის დარდები. მოიხსნა თავიდგან მოსახვევი, და შავი თმა გადაეწყვა მხარზედ.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვარ! დაიწყო კვლავ მწუხარე ხმით. მე ჩემის საკუთარ სახლიდგან გამოვიქეცი, ასე რომ ტანისამოსის წამოღებაც ვერ მოვასწარი.

— რა დაგემართათ განა აგეთი?

— სუყველაფერს გიამბობთ და დარწმუნდებით, რა ამოსავარდნელები არიან. მე და ჩემი ქმარი პირველში ძალიან ბედნიერები ვიყავით. ის კეთილი იყო და მეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ჩვენმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ერთი პატარა ქერა-თმიანი და ცისფერ-თვალებიანი ქალი დამებადა და ვერა დავარქვით. ძალიან მიყვარდა ჩემი პატარა ქალი. როცა ვერა ერთი წლისა შესრულდა, უეცრად ავად გახდა... სულ უბრალო ავადმყოფობა ჰქონდა—მხოლოდ ახველებდა. ყველა ბავშვს ახველებს ხოლმე, მაგრამ რჩებიან, ჩემს ქმარს-კი შეეშინდა, დაუძახა ექიმებს, ერთი მოსკოვიდგანაც-კი მოიწვია. ორის დღის შემდეგ ტყუილად მოიგონეს, რომ ბავშვი გარდაიცვალაო.

— როგორ თუ ტყუილად?

— ჰო, ტყუილად მოიგონეს. ექიმებს შეშურდათ ჩემი ბედნიერება... ეს კიდევ არაფერი. ვერა დაასვენეს სტოლზე, კუბო აყიდვინეს და მოემზადნენ დასასაფლავებლად. მე, რასაკვირველია, მეწყინა და გამოვუცხადე ჩემს ქმარს, რომ არავის არ დავანებებ ბავშვს-მეთქი. იმ ბოროტებმა ჩემი ქმარი დაარწმუნეს, რომ ვერა მკვდარიაო და ისიც მე მაჯერებდა: უნდა დავმარხოთ, თორემ ბავშვი გაიხრწნაო. ასე ამბობდნენ-კი, მაგრამ ტყუილი იყო: ვერა არ მომკვდარა!

— მომითმინეთ,—გავაწყვეტინე ლაპარაკი უცნობს: მე მგონია მკვდარი ცოცხლისაგან ადვილი გასარჩევია. ბავშვი განა სუნთქავდა?

— რასაკვირველია, სუნთქავდა! ის ეხლაცა სუნთქავს!

უცნობს სახეზედ ხელ-ახლად რაღაც უცნაური ღიმილი გამოაჩნდა.

— სუნთქავს, ცოცხალია? დავეკითხე ხელ-ახლად.

— დიაღ, მაგრამ მოითმინეთ, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ. როდესაც გადასწყვიტეს, რომ ვერა მკვდარიაო, ჩუმად ჩასდეს ბავშვი კუბოში და წაიღეს დასასაფლავებლად. როცა ეს ამბავი შევიტყე, ვერ წარმოიდგენთ, რა მომივიდა. მე მივვარდი ჩემს ქმარს და ვსთხოვდი დაებრუნებინა ჩემთვის ყმაწვილი. იმან მიპასუხა, რომ დავასაფლავეთო. კინაღამ მოვკალი ჩემი ქმარი. მერე მე მინდოდა მომეკლა თავი, მაგრამ იმათ სუყველაფერი მომტაცეს და საწოლს ოთახში დამამწყვდიეს. მთელი ღამე არა მძინებია, სულ ვერას ხსენებასა და ძახილში ვიყავი. რაც-კი რამ იყო ოთახში, ყველაფერი მივლეწ-მოვლეწე, მწარედ ვსტიროდი და ვეხვეწებოდი დაებრუნებინათ ჩემთვის ჩემი საყვარელი შვილი. ბოლოს ჩემს ქმარს შეებრალე და დილით მომგვარა ვერა.

— თქვენი შვილი? ვკითხე ამ უცნაურის ამბით გაკვირვებულმა.

— დიაღ, ჩემი შვილი! ცოტა გამოცვლილიყო ავადმყოფობის შემდეგ, თმები გაზრდოდა და კბილები ამოსვლოდა. მე ძალიან გამეხარდა და დიდად ბედნიერი ვიყავი, რომ დამიბრუნეს ვერა. მხოლოდ ჩემს ქმარს აკვირვებდა ჩემი სიხარული, და ჩემის აღტაცების დროს ისა სტიროდა ხოლმე. ვერასაც აღარ ჰკოცნიდა და აღარც-კი უნდოდა თვალით დაენახა. ამას კიდევ არ ვინაღვლიდი, ბავშვი რომ დაენარჩუნებინათ, თორემ, წარმოიდგინეთ, რამდენისამე დღის შემდეგ იმ ულმერთოებმა კიდევ მომტაცეს ბავშვი, მომტაცეს-კი, მაგრამ ისე ადვილად ველარ მომატყუებდნენ: გუშინღამ წაველი საძებნელად, მთელი სახლი გადავაქოთე და ვიპოვნე.

— სად იპოვეთ-მეთქი. ვკითხე და ვგრძნობდი, რომ შიშისაგან ვკანკალებდი.

— შკაფში! მთელი ღამე ხელში აყვანილი მყავდა და სულ არა მძინებია. გათენებისას ამოვიდე ღეიბ-ქვეშ და მთელი დღე დამშვიდებული ვიჯექი ჩემს ოთახში. როდესაც დაღამდა, მოვიტაცე და წამოვედი.

— ვინ მოიტაცეთ? ვკითხე ელდისაგან გაფითრებულმა.

— ვერა!.. ეხლა აქ მყავს, მითხრა უცნობმა და დააცქერდა საკვოიაჟს.

მივხვდი, რომ ჩემი უცნობი შეშლილი იყო, მაგრამ ისე გამიტაცა ცნობის-მოყვარეობამ, რომ ვსთხოვე ეჩვენებინა ვერა.

— გაჩვენებთ ვერას, მხოლოდ ისე დადექით, რომ არავინ დაინახოს.

უცნობმა ფრთხილად გახსნა საკვოიაჟი და მშვენიერი ტიკინი ამოიღო.

კალამი ვეღარ დამიჭერია ხელში, დანარჩენს ორს კვირასვე, თითქოს წინა ორის კვირის განმავლობაში მელოთნოს და მეჭიანოსო, ცუდათბაში ვიტანჯები და მოთხრობის წაკითხვაც-კი დიდ შრომად მიმაჩნია. გონება მიჩლუნგდება და მიბლაგვდება, განსაკუთრებით მეხსიერება, რომელიც სულ ერთიან მოდებულია რუსეთის სიტყვიერების ტალახითა და ნაგვით. ჯანი, როგორც ვატყობ, თანდათან მისუსტდება, თუმცა-კი მუშაობა არა მძულს. ავად ვიყავი, როცა კოლცოვის შესახებ ვწერდი დიდს წერილს და ამ შრომამ მასიამოვნა, გამამხიარულა, დამაკმაყოფილა და კარგს გუნებაზედ დამაყენა; მაშასადამე, აშკარაა, მხოლოდ სავალდებულოდ წერა მავნებს და მაავგუნებებს, ის მიჩლუნგებს გონებას, ჯანს მიღევს და ხასიათს მიხდენს, ისეც გულ-ჩახურულსა და გულ-ფიცხს. სხვა ყოველგვარი შრომა, არა-ოფიციალური, ჩემთვის სასიამოვნო და სასარგებლო იქნება. აი პირველი და უმთავრესი მიზეზი. მეორე ის არის, რომ ბ-ნ კრაევსკისთან ძნელია, შეუძლებელი მორიგება და საქმის დაჭერა. ეს კაცი იქნება ძალიან კარგი კაციც იყოს, მაგრამ იგი ფულის მოგების, თავისის ხეირის მიმდევარია, მაშასადამე, ის ფოცხვერი, რომელიც ყოველთვის მზად არის ადამიანს სული ამოჰხადოს და სისხლი გამოსწოვოს და მერე ფანჯრიდგან მოისროლოს, როგორც ფიტ-გამოლეული ლიმონის ქერქი. ჩემამდე მოაწია ხმა, მიჩივის თურმე, რომ ცოტასა ვმუშაობ; ჩემს კეთილის-მყოფელს უწოდებს თავისს თავს და ამბობს, რომ თუმცა ჩემთვის სრულიად საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც დიდ-სულოვნობით კიდევ ვინახავო. ჯერ ისევ ამ ერთის წლის წინად —[illegible] შინაურს წრეში სთქვა: „ბელინსკიმ [illegible], რის დაწერაც შეეძლო, და ეხლა დროა თავიდგან მოვიშოროვო“. მე უნდა დავასწრო. ჟურნალში ეხლა საკმაოდ სამარცხვინო როლს ვასრულებ: ვაგინებ და ვლანძღავ ბულგარინს, ასეთის საქციელით თითქოს იმას ვამბობდე, რომ კრაევსკი საუცხოვო კაცია, კეთილ მყოფელი გმირი. სისამაგლეა, როცა ერთს გაქნილ-გაიძვერასა და ფლიდს ემსახურები და მეორე გაქნილ გაიძვერასა და ფლიდს ნავს კაცსა ჰკიცხავ და აგინებ, ჭეშმარიტებით იძულებული-კი არა, მხოლოდ იმიტომ რომ იმისი ყურ-მოჭრილი მონა და მოსამსახურე ხარ.

აი მეორე წერილში რას ამბობს ეს შესანიშნავი მწერალი იმავე წლის 14 იანვარს:

ეს კაცი სწორედ ტარტაროზია: ზოგიერთს საქმეში პურ-მკირობა, სიმუნწითა და სიკრიჟანგით-კი არა ანგარიშიანობით მოსდის. გასარჩევად მაძლევს გერმანულსა, ფრანგულსა და ლათინურს ანბანსა და გრამატიკას. ამას წინად იტალიანური გრამატიკაც გავარჩიე. ასე სჩადის იმიტომ-კი არა, რომ არ უნდოდეს სხვას აძლიოს ფული ასეთის რეცენზიებისათვის, იმიტომ-რომ ძალათი დამავიწყებინოს, რომ მე ვარ სული და გული იმის წყალ-წყალა ჟურნალისა (რომელშიაც რაც კარგია—ჩემია) და დამარწმუნოს, რომ შენ მხოლოდ უბრალო მუშა ხარ და შენის ნამუშევარის სიკეთე ღირსებით-კი არ აიწონება, სიმრავლითა და სიბევრითაო. ოჰ, ღმერთო, რის შესახებ არა ვსწერ, რა წიგნებს არ ვარჩევ! ხუროთ-მოძღვრობის (მერე ბიზანტიისა) შესახებაც-კი ვწერ, მკურნალობის შესახებ... ამ კაცმა ტყუილის გუდად გადამაქცია, თვალთ-მაქცად, თავისს მაღლად, სახედრად, რომელზედაც შემჯდარა და თავის წარმატების იერუსალიმში მიდის.

თუ დიდად ნიჭიერს, გამოჩენილს რუსეთის კრიტიკოსს ასე ექცეოდნენ, წარმოგვიდგენია, რა ტანჯვასა და წამებაში იქნებოდნენ არა-ნიჭიერნი, არა-გამოჩენილნი მწერალნი.

## უცხოეთი

[illegible] იმპერატრიცა გერმანიისა, დედა ეხლანდელის იმპერატორის ვილჰელმისა, წავიდა საფრანგეთს და რამდენიმე ხანია საფრანგეთის სატახტო ქალაქში იმყოფება. ამ გარემოებამ აალაპარაკა გაზეთები და ბევრ-გვარი სხვა-და-სხვა აზრი გამოათქმევინა. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიასა და საფრანგეთს ომი ჰქონდათ, მას უკან არც ერთი წევრი გერმანიის სამეფო სახლეულობისა პარიჟში არა ყოფილა. ეხლაც არავინ არ ელოდა, რომ დედოფალი ვიქტორია შეასრულებდა თავის სურვილს და წავიდოდა პარიჟში. დიდხანს ჰმალავდნენ თურმე ამ ამბავს გერმანიაში, მაგრამ ბოლოს საფრანგეთის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ პარიჟის ნახვა უნდა გერმანიის ქვრივს დედოფალსაო. მაგრამ ეს ამბავი უარჰყო გერმანიის ერთ-ერთმა გაზეთმა. ამბობენ, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა დიდხანს უშალა დედას, ნუ წახვალ პარიჟშიო და იანვრის დამდეგს გამოაცხადა კიდეც, რომ დედოფლის წასვლა საფრანგეთს შეუძლებელიაო, ჩანს დედას მაინც დაუყოლიებია შვილი-იმპერატორი.

პარიჟში დედოფალი ზრდილობიანად მიიღეს. არც ძალიან გახარებით პარიჟელებს მისი მისვლა და არც ძალიან სწყენიათ. პარიჟის გაზეთებიც ბევრს არა ლაპარაკობენ ამ საგნის შესახებ. მხოლოდ თითო-ოროლა გაზეთმა ველარ მოითმინა და ორიოდე გერმანიისათვის უსიამოვნო სიტყვა სთქვა. ბულანჟელებმა-კი კრებაც მოახდინეს და ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს გერმანიის საწინააღმდეგოდ. ბულანჟელებს ეფიქრებათ, რომ გერმანია და საფრანგეთი არ მოჰრიგდნენ ერთმანეთში და მით სრულიად მეტი ბარგნი არ შეიქმნენ ქვეყნისათვის. ლორმა სთქვა, მაგალითად, ამ კრებაზედ, რომ დიდად გასაკვირნი არიან საფრანგეთის მკურნალნი, რომელნიც წავიდნენ გერმანიაში ბერლინის სამკურნალო კონგრესზე დასასწრებლადაო. გასაკვირნი არიან იმისთვისაც, რომ კოხის წამალს ასეთის ალტაცებით მიეგებნენო. საფრანგეთის მხატვარნიც, თუ თავიანთი ქვეყანა უყვართ, არ უნდა დაესწრონ სამხატვრო გამოფენას ბერლინშიო. დერულედმა სთქვა, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა ახალი დროშებით შევამკეთ სტრასბურგის ქანდაკება და ხვალ, როცა დედოფალი გაივლის იმ ქანდაკების წინაშე, დაინახავს რომ ქალაქი, რომელიც აიღეს იმის ჯარის-კაცებმა, წინააღმდეგია, რომ ის პარიჟში იმყოფებაო.

გაზ. „Autorité“ ამბობს, რომ სასურველია, ავიცილოთ თავიდამ ომი გერმანიასთანაო, მაგრამ ამასთანავე დიდად გასაკვირია ის თავქარიანობა, რომელსაც აიწყდება სისხლით შესვრილი წარსულიო. სამაგიეროს გადახდა უნდა და არა ისა, რომ ბერლინის გამოფენაზე გაიმარჯვონ ჩვენებურმა მხატვრებმა და მით მოუკლას გული გერმანიასაო. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, სხვათა-შორის, რომ დედოფალ ვიქტორიის ყოფნას პარიჟში არავითარი საპოლიტიკო მნიშვნელობა არა აქვს. დედოფალს უნდოდა გრაფ მიუნსტერის სახლობის ნახვა, აგრეთვე თვით პარიჟის გაცნობა და იმიტომ იმყოფება ამ ჟამად პარიჟშიო. დედოფალს უყვარს მხატვრობა, თანაუგრძნობს ბერლინში სამხატვრო გამოფენის გამართვის საქმეს და იქნება მისმა პარიჟში ყოფნამ საფრანგეთის მხატვრებსაც გააბედინოს მონაწილეობის მიღება ბერლინის სამხატვრო გამოფენაშიო.

ბისმარკის გაზეთი „Hamburger Nachrichten“ ამბობს, რომ დიდი გულ-უბრყვილობაა, ვისაც ჰგონია, ვითომ დედოფალ ვიქტორიის ყოფნა პარიჟში შეარიგებს გერმანიასა და საფრანგეთსაო.

სერბია. ბელგრადში ახალი სამინისტრო შესდგა ნიკოლა პაშიჩის მეთაურობით. სამინისტროში ოთხი ახალი მინისტრია: გერშიჩი—იუსტიციისა, ველიმიროვიჩი—საზოგადო შენობათა, ღიაია—შინაგან საქმეთა და პოლკოვნიკი როშა მილევიჩი—სამხედრო მინისტრი. წინანდელ მინისტრებში დარჩა კვლავ: ტაუშანოვიჩი—მინისტრი მეურნეობისა და ვაჭრობისა, და ანდრო ნიკოლიჩი—მინისტრი საეკკლესიო საქმეთა და საერო განათლებისა.

ნიკოლა პაშიჩი რადიკალია, მეთაური საერო დასისა. საკმაოდ დიდი სახელი აქვს. ერთხანად სკუპჩინამ თავმჯდომარედ აირჩია, ხოლო ბელგრადმა—ქალაქის თავად. პაშიჩი ინჟინერია და ოცი წელიწადია მონაწილეობას იღებს თავის სამშობლოს საქმეებში. 1880 წელს ებრძოდა რისტიჩის კაბინეტს, მერე გარაშანინისას, როცა ესა და მეფე-მილანი ავსტრიის მომხრეობას ცხადად იჩენდნენ. ასეთმა პოლიტიკამ გარაშანინისა და მილანისამ 1883 წელს აჯანყება გამოიწვია. ეს ამბავი დაჰბრალდა რადიკალების მეთაურს ნიკოლა პაშიჩს, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა ტაუშანოვიჩთანა და პერუ ტოდოროვიჩთან ერთად. პაშიჩი საზღვარ გარედ გაიქცა და 6 წელიწადს დაჰყო იქ. მილანმა რომ მეფობა უარჰყო, მაშინ კვლავ დაბრუნდა სამშობლოში და ისევ რადიკალების მეთაურობა დაიწყო.

## წვრილი ამბები

ამ ჟამად კოხი და კოხის ლიმფა ვის არ ადგია ენაზე. მაგრამ, როგორც სხვა ყველაფერში, ამ შემთხვევაშიაც კაცობრიობა ორ ნაწილად არის გაყოფილი. ზოგს სჯერა სასწაულთ-მოქმედი ძალა კოხის ლიმფისა, ზოგს არა. ამის გამო ხშირად დიდი ლაპარაკი და ალიაქოთი გაიმართება ურწმუნოთა და მორწმუნეთა შორის და ლაპარაკს ვინდა ჩივის, საქმე ზოგჯერ მუშტი-კრივზე მივარდება. მაგალითად, ამ დღეებში ბერლინის ერთს ლუდხანაში ორი ერთმანეთის კარგი ნაცნობი და მეგობარი თერძი ისხდნენ, მასლაათობდნენ და თან, რასაკვირველია, ლუდსაც შექცეოდნენ. თუმცა ესენი ერთმანეთის სული და გული იყვნენ, მაგრამ რაღაც საუბედუროდ კოხისა და კოხის ლიმფის შესახებ იმათი აზრი სხვა-და-სხვაობდა. ერთი გულდრუკს უქმევდა და მუხლ-მოდრეკით თაყვანსა სცემდა კოხის სახელს, ხოლო მეორეს კოხისა და იმის ლიმფის არაფერი არა სწამდა. როგორც ყოველთვის ისე იმ დღესაც ამ მეგობართა შორის კოხის გამო დიდი ლაპარაკი გაიმართა. რასაკვირველია ეს გოლიათები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ და თითოეული თავისას ამტკიცებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯერ ოთხ ჭიქაზე მეტი ლუდი არც-კი დაელიათ და ერთი იმათგანი, რასაკვირველია, კოხის არ პატივის მცემელი, იმდენად გაგულისდა, იმდენად გაანჩხლდა, რომ კოხსა და იმის ლიმფას სისულელე უწოდა. კოხის მადმერთებელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ვეღარ მოითმინა, სისხლი აუდუღდა, კოხის ავად ხსენებაში თავის თავის შეურაცხება დაინახა, აიღო სალუდე ჭიქა და ისეთ ნაირად დასთხლიშა თავში მისს მოწინააღმდეგეს, რომ კოხის ავად მომხსენებელს თავი გაუსქდა და სისხლი თქრიალით გადმოსდინდა. ლუდხანის პატრონი და სტუმრები ამ ამბის გამო დაფრთხნენ და დავთარი დაკარგათ. როცა გონებაზე მოვიდნენ, მოიწვიეს ფერშალი, შეახვევინეს დაშავებულისათვის

---

ეს ტიკინი თითქმის ნამდვილს პატარა ქალს ჰგავდა: ქერა თმა, მარგალიტსავით თეთრი კბილები, ცის-ფერი თვალები ჰქონდა და თავის-თავად ჰხუჭავდა და ახელდა.

— ხომ ჰხედავთ, მითხრა ჩემმა საცოდავმა თანამგზავრმა: რომ ვერა ცოცხალია და კარგად მყოფიც. შემდეგ გაუცინა ტიკინს და დაუმატა: ვერა, ხელი მიეცი დეიდას.

მე ავილე სანთლის ხელი ტიკინისა და ისე შევცქეროდი, თითქოს მეც ბავშვად მიმაჩნდა... მაგრამ უეცრად შიშმა ამიტანა. მომაგონდა, რომ მარტოდ-მარტო ვიყავ შეშლილთან და რომ ახალწლის წინა ღამე იყო, სწორედ ის ღამე, როდესაც ათასი უცნაური ამბავი ხდება ხოლმე. შევხედე თეთრებში ჩაცმულს უცნობსა და ლამაზ ტიკინს, რომელსაც მხურვალედ ჰკოცნიდა, და გულში გამიელვა, ჩქარა განვთავისუფლდე ამ უბედურისაგან-მეთქი. გამიელვა და ფეხზედ წამოვიწიე.

— სად მიხვალთო! მკითხა უცნობმა და საჩქაროდ შეინახა ტიკინი საკვოიაჟში.

— ცოტას ხანს გარედ მინდა გავიდე-მეთქი. გავაღე ოთახის კარი და ვაგონის მეორე განყოფილებაში შევედი.

უცნობი წამოდგა და უკან გამომყვა. ეს ამბავი ძალიან მეოცა, შევხედე და შიშისაგან თვალები დავხუჭე. უცნობს სახე სრულიად შეშლოდა; ლოყები წითლად დაფოლაქებოდა, თვალებში სიბრაზის ნაპერწკალი უბრწყინავდა და ხელები წინ გამოეშვირა, თითქოს ჩემი დაჭერა უნდაო. ამ სანახავმა ისე შემაშინა, რომ იმასთან დარჩენას ვაგონიდგან გამოსვლა და მატარებლიდგან გადმოხტომა ვამჯობინე. კიდეც ვაგონის კარი გავაღე, რომ უცნობი უეცრად მომწვდა, კისერში ხელები წამავლო და ისე ძალიან წამიჭირა, თითქოს ჩემი დარჩობა უნდოდა.

— ვიციო, წამჩურჩულა ყურთან: ვიცი ჩემ დასაბეზღებლად მიდიხართ, უნდა შეატყობინოთ, რომ აქა ვარ განა?!.. მე გენდეთ და თქვენ-კი გინდათ გამამჟღავნოთ და ჩემი ვერა წაართმევინოთ?

— გეფიცებით, ფიქრადაც არ მომსვლია თქვენი გამჟღავნება! არსად წავალ, ფეხსაც არ გადავდგამ, ოღონდ თავი დამანებეთ, ძლივს ამოვიღე ხმა.

— არა, დაიყვირა უცნობმა: აგრე ადვილად ვერ დაგანებებთ თავს. თუ გაინძრევით, აქვე მოგკლავთ... გესმით, მოგკლავთ, დაგახრჩობთ!

ვიგრძენ, რომ ღონე გამომელია და იქვე კარებთან სკამზედ დავეშვი. ისიც ჩემთანვე ჩამოჯდა. თუმცა კისრიდგან ხელები მომაშორა, მაგრამ მაინც ისე მაგრად და ღონივრად ეჭირა მხრებით, რომ განძრევა არ შემეძლო. თვალები მივლულე და აშკარად ვგრძნობდი, რომ ზედ დამშტერებოდა თავისის ბოროტის თვალებითა.

გაიარა რამდენიმე წამი, რომელიც მთელ საუკუნედ მეჩვენა. უეცრად სლოკინი მომესმა. გავახილე თვალები და დავინახე, რომ უცნობი ტიროდა. შიში სიბრალულად შემეცვალა.

— გამიგონეთ-მეთქი, ვუთხარი: რად გამოიქეცით სახლიდგან? რად დაანებეთ თავი ქმარსს თქვენ აგრე უფრო უბედური იქნებით, დაბრუნდით ქმართანვე!

უცნობმა უეცრად მოიწმინდა ცრემლით სავსე თვალები და თავი აიღო მაღლა. თვალები უწინდელებრ ალგზნებული ჰქონდა და უნათოდა. უცნაურად შემომხედა და გაბრაზებით მითხრა:

— არა, არ დავბრუნდები! მანამდე მიყვარდა ჩემი ქმარი, სანამ იმას ვერა უყვარდა.

— ვერა ხომ აღარ არის, ხომ გარდაიცვალა.

— როგორ? თქვენც აგრე გგონიათ? მითხრა უცნობმა და სახეზედ სასოწარკვეთილება აღებეჭდა: ხომ გაჩვენეთ ვერა, ხომ ჰნახეთ, რომ ცოცხალია?

— ეგ ტიკინია და არა ბავშვი-მეთქი, ვუთხარი.

— ტიკინი? ვერა?! ხომ სუნთქავს, ცოცხალია, სუყველაფერს ჰხედავს? დაუჯერო, ვერ შენიშნეთ?

ნათლად დავრწმუნდი, რომ ვერავითარი საბუთით ვერ დავაჯერებდი, რომ შენი შვილი გარდაცვლილია-მეთქი, და აღარა ვუთხარი-რა, როდესაც კვლავ თავის ვერას შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი. ამასობაში მატარებელი სადგურს მოუახლოვდა და გაჩერდა, ვაგონში შემოვიდა სადგურის უფროსი და ორი ჟანდარმიც თან შემოჰყვა. დაინახა თუ არა ჩემმა უცნობმა—გაქცევა დააპირა, მაგრამ ერთმა ჟანდარმთაგანმა სტაცა ხელი და არ გაუშვა. ვაგონში საზარელი წივილი გაისმა და... მე განვთავისუფლდი.

საბრალო ქალი სადგურის უფროსის სახლში წაიყვანეს, რადგან ამ უფროსს დეპეშა მოსვლოდა, რომ დაიჭირეთ ესეთი და ესეთი ქალიო, და იმასთანავე უნდა მოსულიყვნენ დაჭერილის წასაყვანად.

ნინა ბურჯანაძისა

ჭრილობა და შემდეგ მსხვერპლი ამ უსიამოვნო შემთხვევისა საავადმყოფოში გაგზავნეს.

— ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამას წინად ლონდონში ერთი ავაზაკი გაჩნდა, რომელიც ქალების ხოცვა-ჟლეტაში ავარჯიშებდა თავის მარჯვენას. რასაკვირველია, ადგილობრივმა მთავრობამ ყოველი ღონე იღონა ამ ავაზაკის აღმოსაჩენად და შესაპყრობად, მაგრამ ამაოდ. ავაზაკი ჩაიდენდა თუ არა საზიზღარს დანაშაულობას, მაშინვე მიიჩქმალებოდა, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო. აგერ წელიწად ნახევარი გავიდა მას აქედ, რაც ამ იდუმალი ავაზაკისა არაფერი ისმოდა. ლონდონში იმედიც ჰქონდათ, რომ ამ ზღაპრისებურმა გმირმა თითონაც მოისვენა და ჩვენც მოგვასვენაო. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. 13 თებერვალს ღამით ვიღაცას მოუკლა ერთი ზნე-გაფუჭებული ქალი, რომელსაც თავი ტანიდამ თითქმის მოშორებული ჰქონდა. ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინვე ჯეკს მიაწერეს, რადგანაც მხოლოდ ჯეკს აქვს ხელი იმდენად გავარჯიშებული იარაღის ხმარებაში, რომ ერთის დაკვრით ადამიანს თავი მოაგდებინოს; ამასთანავე ჯეკი ყოველთვის ზნე-გაფუჭებულს ქალებს იღებდა მიზანში. წარმოიდგინეთ რა დიდი ღელვა და ალიაქოთი მოხდებოდა ლონდონში, როცა გაიგეს, რომ იდუმალი ავაზაკი, ქალთა მუსრის გამგლეჯი ჯეკი დააპატიმრესო. მართლაც ლონდონის პოლიციამ ამ დღეებში ერთი მეტად საეჭვო კაცი დააპატიმრა, რომელიც ამბობს, რომ ტომსონ სადლერი ვარო და რომლის დანაშაულობის დასამტკიცებლად ორი თვალსაჩინო საბუთი აქვთ. ის უნახავთ მოკლულს ქალთან რამდენისამე დღეს წინად დანაშაულობის ჩადენისა, ხოლო დანაშაულობის ჩადენას შემდეგ არ გასულა მეოთხედი საათი, რომ ეს საოცარი კაცი შეიპყრეს და ხელები სისხლით მოსვრილი აღმოუჩნდა. პირველად სადლერი ისეთს უარზე იდგა, რომ კინაღამ გაანთავისუფლეს, მაგრამ როცა ზემოდ დასახელებული გამამტყუნებელი საბუთები აღმოაჩინეს, ხელი მაგრად ჩასჭიდეს და სასამართლოსაც გადასცეს. ამ ჟამად სადლერის შესახებ სასამართლოს შემდეგი ცნობა აქვს შეკრებილი. სადლერი შვილია ადვოკატისა და უმსახურნია პირველად ხომალდზე და შემდეგ პოლიციის აგენტადაც ყოფილა. ამ 15 წ. წინად ცოლი შეურთავს და რომელიღაც ქარხანაში გაუჩენია საქმე. სახლი-კი უაიტჩაპელში დაუჭერიათ, სწორედ იმ ქუჩაზე, სადაც 19 აგვისტოს 1888 წ. იდუმალმა ავაზაკმა საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინა. ამას შემდეგ სადლერს ლონდონის სხვა-და-სხვა ნაწილში უცხოვრია. ქარხანაში მუშაობისათვის თავი გაუნებებია და ნოქრად შესულა. ღამით ყოველთვის ძალიან გვიან ბრუნდებოდა თურმე სახლში. გასულა კიდევ ცოტა ხანი და სადლერი ცოლს გაურია, რის გამოც ცოლი იძულებული გამხდარა ლონდონს გარედ ეცხოვრა. კაი ხნის განმავლობაში ცოლს ქმრისა არაფერი არ გაუგია. მხოლოდ ივნისში 1889 წ. ქმრისაგან ცნობა მიუღია, რომ ლონდონის ამა და ამ ადგილას მნახეო. ცოლი დანიშნულს ადგილას მისულა, მაგრამ ქმრის მაგიერად ვიღა უცნობი კაცი დახვედრია, რომელსაც მიჭგებებია და უთქვამს, აბა რას იტყვი ახალსაო. ქ-ნს სადლერს ხმაზე უცვნია თავისი ქმარი, რომელსაც გარეგანი შეხედულება სრულიად გამოცვლილი ჰქონდა თურმე, რადგანაც წვერი მოეპარსა. სადლერს იმ ღამეს წაუყვანია თავისი ცოლი და სულ დუქნებში და ლუდხანებში უტარებია, სადაც აუარებელი ზნე-გაფუჭებული ქალი უნახავთ. გზა-გზა სადლერი ცოლს მოუთხრობდა თურმე იმ დანაშაულობათა ამბავს, რომელთა ჩამდენი ვერ აღმოაჩინეს. აქებდა მოხერხებას, სიმარდეს გამჭრიახობას ავაზაკისას. ასეთს ამბავს შემდეგო, როგორც სადლერის ცოლმა სასამართლოში აღიარა, მეშინოდა ჩემის ქმრისა და მასთან დარჩენას და ცხოვრებას ვუფრთხილდებოდი და ამის გამო ლონდონიდამ გავექეცი და იმისი ცხოვრებისა აღარაფერი ვიცოდი ამ უკანასკნელს დრომდიო. სადლერის ცოლმა თავისი ჩვენება იმით დაასრულა, რომ ჩემი ქმარი გაუნათლებელი კაცი არ არის, დიდის გულ-მოდგინებით კითხულობდა წიგნებს და ძალიან ბეჯითად ჰმუშაობდა, ხოლო შემდეგ ერთბაშად გამოიცვალა, ლოთობა დაიწყო და ახირებული ხასიათი დასჩემდა. როცა გაანჩხლდებოდა საშიშარი რამ იყო. ერხელ სადილი დუმელში შეისროლა, ყველა ჭურჭელი, რაც ხელში მოხვდა, დაამსხვრია, კედლის საათი ჩამოაგდო და დაამტვრია, ფანჯრის მინები მილეწ-მოლეწა და ხომლიც გასტეხა. იმას ლონდონის ყველა პაწია ქუჩაც კარგად აქვს დასწავლილი და ერთხელ რაღაც უცნაური ხანჯლისებური დანაც ეჭირა ხელშიო. სასამართლო კიდევ დიდს კვლევა ძიებაშია სადლერის წარსული ცხოვრების შესახებ და ჯერ, რასაკვირველია, კარგად არ იციან ეს არის, თუ სხვა ქალების მკვლეტავი ავაზაკი.

## დეპეშა

20 თებერვალი

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ქუთაისი. არჩევანი ეახრამოვისა ფოთის ქალაქის თავად გაუქმებულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა კრებულის-მიერ. მიწერილ იქმნა, რომ ახალი არჩევანი დაინიშნოს.

19 თებერვალი

პეტერბურგი. 19 თებერვალს ისააკის ტაძარში, ბატონ-ყმობის გადავარდნის დღეს, გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და აგრეთვე მოხსენებულ იქმნა გარდაცვალებული იმპერატორი ალექსანდრე II-ც.

დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ დაათვალიერა ოხტენის თოფის წამლის ქარხანასთან ახლად აგებული პიროკსილინის ქარხანა და ჰნახა აგრეთვე ახლად დაწყებული საერთო სამუშაონი უკვამლო თოფის წამლის ქარხნების ასაშენებლად.

გაზეთები იუწყებიან, განკარგულება მიცემული, რომ ყველა ზღვის პირად მყოფ სადეპეშო სადგურებზე, რომელნიც მხოლოდ დღე ჰმუშაობენ, დღე-ღამე გადასცენ ცნობები, თუ ვაიცობაა უბედურება რამ მოხდა ზღვაზედ და ან რამ ისეთი შემთხვევაა, რომ სწრაფი დახმარებაა საჭიროეო.

სინგაპური. შუადღისას მობრძანდა აქ მემკვიდრე ცესარევიჩი. გუბერნატორი მაშინვე დარბაზად ეწვია მისს უმაღლესობას, შემდეგ ჰნახა რუსეთის ესკადრა და აქ სალამომდე დარჩა.

პარიჟი. აშინოვი გუშინ გაიდა საფრანგეთიდგან. გუშინვე გაემგზავრა ბელგრადს მილანი.

ათინა. საბერძნეთში დიდად უჩვეული სიცივეები დაიჭირა. აგერ სამი დღე-ღამეა განუწყვეტლივ თოვს, ასე რომ ზოგან მთელი სოფლები გადლესა და მცხოვრებლები ლამის არის შიმშილით დაიხოცნენ.

პარიჟი. პალატაში წინადადება შეიტანეს, რომ მონაკოში რულეტკას თამაშობა აღკრძალულ იქმნას, რადგან დიდი ბოროტ-მოქმედებანი ჰხდებაო. ამ წინადადების წინააღმდეგ ის ითქვა, რომ მონაკო დამოუკიდებელი სამთავროა და საფრანგეთი ვალდებულია პატივსა სცემდესო.

20 თებერვალი

პეტერბურგი. სინპაჰურიდამ ოფიციალურად იწერებიან დეპეშით, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი ჯან-მრთელადაა და ხუთშაბათს ბატავიაში აპირებს გამგზავრებას.

დღეს გაიხსნება ადგილ-მამულთა ბანკების წარმომადგენელთა კრება განსაკუთრებით იმის შესახებ რომ მოილაპარაკონ 6% სესხის 5%-ის კონვერსიაზედ, რომელთან ერთად გირავნობის ფურცლების კონვერსიაც უნდა მოხდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 19 თებერვალი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაურიგდნენ |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 82 | 6 86 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 136 3/4 | 137 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | 1 08 | — . |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 237 1/2 | — „ | — „ |
| —მეორისა | 229 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 210 1/4 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი


„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—33)



### ნათესობის სეტყვისაგან

საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება

მოსკოვს.

მმართველობა ამ საზოგადოებისა აუწყებს ბ-ნთ პატრონებს ვენახებისას, ბაღებისას, თამბაქოხი, სეიისა და ბამბის პლანტაციებისას და სხ., რომ 1890 წლიდგან, საზოგადოების წესდების მე 30 და 33 §§-ის თანახმად, იგი დაიზღვევს ზემოხსენებულ მამულებს სეტყვისაგან და რომ მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების რწმუნებულთ ტფილისში ნ. ა. ალექსანდროვს-იუნიჩს და კავკავში—პ. ა. სიდომონოვს.

თავისი სურვილი უნდა განაცხადონ განსაკუთრებულის ბლანკით. რომელიც დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ მოთხოვნისათანავე ზემოხსენებულ რწმუნებულთაგან. იმათგანვე შეუძლიანთ შეიტყონ ყოველივე ცნობა ამ დაზღვევის შესახებ.

სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება.

მმართველი ვ. ა. ტარგონსკი

ტფილისელ რწმუნებულის ნ. ა. ალექსანდროვ-იუნიჩის ნახვა შეიძლება ყოველ დღე გაზ. „Нов. Обоз.“-ს კანტორაში, ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

(2—2)



### ფრთხილად იყავით.

რადგან რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში ძალიან ხშირად იყიდება

ყალბი რძის ფქვილი ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად.

მხმარებელთა ყურადღებას მივაქცევთ, რომ ყოველს ბანკას

ჰენრის ნესტლეს ნამდვილ რძის ფქვილისას

ლურჯი ბეჭედი აზის და ხელ-მოწერილია ერთად-ერთის ჩემის აგენტის მიერ მთელს რუსეთში

ჰენრიხ ნესტლე, Bebé-ს (შვეიცარიაშია).

(6—5)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Тифлисъ, Дов. цен. 20-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.